საქართველოს მთავრობის

დადგენილება №493

2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017647) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ მე-3 მუხლის:

1. მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ყოველგვარი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც გამოიწვევს ნიადაგის ძირითადი მახასიათებლების გაუარესებას, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, მოხსნას ნიადაგის ნაყოფიერი და პროდუქტიული ფენა, განათავსოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, მისი შემდგომი მიზნობრივი გამოყენების მიზნით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქმიანობის სუბიექტი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ყოველგვარი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ეხება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, საქმიანობის დაწყებამდე, სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს რეკულტივაციის გეგმა/პროექტი ან ინფორმაცია კონსერვაციის შესახებ, ადგილმდებარეობისა (GIS გეოინფორმაციული სისტემები, კოორდინატები) და ნიადაგის მოცულობის მითითებით. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურებს დაქვემდებარებული საქმიანობის შემთხვევაში (გარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობისა), რეკულტივაციის პროექტი თანხმდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ.“.

3. მე-12 პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ლიცენზიის ან ნებართვის ნომერი და გაცემის თარიღი. ლიცენზიის შემთხვევაში ლიცენზიას თან უნდა ერთოდეს ლიცენზია-ბრძანება, გეოსაინფორმაციო პაკეტი, ტოპოგეგმა;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა ($მ^3$) და ჭრილის ან ამონაბარის დასურათება GIS კოორდინატებისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრის (სისქის) ჩვენებით;“;

გ) „ნ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) სააგენტოში წარდგენილი უნდა იყოს რეკულტივაციის გეგმის/პროექტის 2 (ორი) ბეჭდური და 1 (ერთი) ელექტრონული ვერსია.“.

4. მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. ჰიდროელექტროსადგურის, რკინიგზის, ავტომაგისტრალისა და სხვა პროექტების მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგი თუ არის ნამეტი, მისი განკარგვა უნდა განახორციელოს სააგენტომ.“.

5. მე-17 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-18 პუნქტი:

„18. სარეკულტივაციო სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**